

რედაქცია: სალოლოკსე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეში მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

საღკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

შოკვალ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განსხვავდებიან... ებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივად კი ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უზღვრა აქვს გასწოროს და შეამოკლოს და საბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

საღკე ნომერი ღირს შაურად.

## ორი თვის ხელის-მოწერა

### „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

შალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроება“.

ფასი ორი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 ნომერიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნილი—ორი მანეთი.

## ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

კეტიკაშვილი, 30 ოქტომბერს. „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ გრაფი შუვალოვი თავის სურვილით დაითხოვა რუსის მთავრობამ ინგლისის ელჩობის თანამდებობიდან; იმას მისცეს წმ. შოადიმირის ორდენი პირველი ხარისხისა.

გაზეთს „ბოლოს“ სწერენ სამარკანდილად, რომ ბუხარელებს ეწინიანთ ინგლისელების იმათ სამშღვართან მიახლოებისაო; ამის გამო ბუხარის ზოგიერთ ციხეებში ჯარების რიცხვი მოუმატესო. ახალ-ტეკეს ექსპედიციის შესახებ სხვა-და-სხვა ნაირი ხმები ისმის აქაო; ბუხარაში მოსული ხვიანელები ამბობენ, რომ ინგლისის ჯარიც იმ მხრით მიდის, რა მხრითაც რუსის ჯარები მიდიანო და რაც შეიძლება ცდილობენ ინგლისელებიო, რომ რუსებს დაბრკოლება მისცენო: აქლემებს ქირაობენ, სურსათს ჰყიდულობენო და სხვ. ამბობენ, რომ ვილაყაებს მოუკლავთ გზაზე ერთი რუსის აფიცერი, რომელიც ქურთების სარდალთან იყო გაგზავნილიო; ყველა ქალაქები და ნივთები, რაც გააჩნდა ამ აფიცერს, წაუღიათ.

მენა, 29 ოქტომბერს. ჩერნოგორის სატახტო ქალაქში სეტინიეში მივიდა ბოლგარის მთავრის აღიუტანტი, რომელმანც საკუთარი წიგნი მიართვა ჩერნოგორის მთავარს იმის თაობაზედ, რომ ბოლგარის მთავარს სურვილი აქვსო, გაზაფხულზე სეტინიეში მოვიდეს.

მენა, 30 ოქტომბერს. რეინარტის დეპუტატთა პალატამ თავის თავმჯდომარედ ხელახლად ძორონინი აირჩია და ვიცე-პრეზიდენტებად სმოლკა და ბედელი.

ვილიკოპოლი, 30 ოქტომბერს. აღმოსავლეთ რუმელიის მმართველი ალექსანდრე-ფაშა ხვილ, სულთანის მიწვევით, სტამბოლში მიდის.

ლონდონი, 30 ოქტომბერს. ლორდ-მერის სადილზე გუშინ ლორდ ბიკონსფილდმა სიტყვა შემდეგი: „საშუალო აზიაში ჩვენ გავიმარჯვეთ: ჩვენი სამშღვარი გამაგრებულია და გაძლიერებული. ინგლისის სამხედრო ძალა და გავლენა ყველგან უფრო ძლიერია ახლა საშუალო აზიაში.“ ძაბულში ინგლისის ელჩების ამოწვევების თაობაზედ ბიკონსფილდმა სიტყვა: „ჯერ დრო არ დაგვიკარგავს, კიდევ შეგვიძლია გადაუხადოთ სამაგიერო იმათ ვინც ჩვენი თანამემამულენი ამოქლიტა; კიდევ შეგვიძლია ინგლისის ძალას უპირატესობა მივცეთ ავღანში. ინგლისმა დიდი სარგებლობა უნდა გამოიტანოს ამ ომიდან.“ „თუმცა მეროპაში რამდენიმე მილიონი სალთათია დამზადებული საომრად, ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ მშვიდობიანობა დარღვეული არ იქნება. შეველა სახელმწიფოებს ეჭირება ამ ქამად მშვიდობიანობა; არცერთი სახელმწიფოება არ გადადგება იმ პირობას, რომლის შესრულებაც უკისრნია. თუ ინგლისის რჩევას გავლენა ექნება მეროპაში, მე დარწმუნებული ვარ, რომ მშვიდობიანობა დიდ ხანს გაგრძელდება.“ ლორდ ბიკონსფილდს ერთი სიტყვაც არ უთქვამს არც რუსეთზე და არც ოსმალეთზე.

მომეტებულ ნაწილში ლონდონის გაზეთების აზრი ამ სიტყვის შესახებ ის არის რომ ბიკონსფილდს ჰსურსო, აღდევებული ხალხი დააშოშმინოსო. მაშ. „თაიში“ ამბობს, რომ მეროპის მშვიდობიანობა იმდენად უფრო მკვიდრი იქნებაო, რამდენადაც ეს ნაკლებად იქნება ინლისის ახლანდელ სამინისტროსაგან დამოკიდებულიო.

კეტიკაშვილის ბირჟა, 30 ოქტომბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები: 5ან. კაპ.  
პირველი გამოცემის — 93—50  
მეორე — — — 92—87

მესამესი — — — 93—  
მეოთხესი — — — 93—25  
აღმოსავლეთის პირ. — 90—75  
აღმოსავლეთის მეორე — 90—37  
აღმოსავლეთის, მესამე — „—  
ოქრო, 1/2 იმპერიალი — 7—83  
ვირაოს ფურცელი — „—  
შინაგანი 5% სესხის ბილეთები

5ან. კაპ.

პირველი სესხის — — 230—75  
მეორე სესხის — — 225—90

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — — 25—18 პენსი  
ბამბურლი — — 216—50 ცენტი  
პარიჟი — — 268 — „ სანტიმი  
ვენა — — 129 — „ ჰფენიგი  
მაკვასიის კერასინი — — —

## საქართველო

### თფილისის დოლი

ბოლოს ორჯელ გადადების შემდეგ, ამ თვის 29-სა და 30-ს როგორც იყო გაიმართა ჩვენს ქალაქში დოლი.

ზაიმართა, მაგრამ პირველ დღეს, საშინელი ქარისა და სიცივის გამო, თითქმის არავინ დასწრებია და ამის გამო თვითონ დოლიც მაინცა-და-მაინც საინტერესო არ იყო. ამ დღეს პირველი ჯილდო ერთმა ვილაც ყარაბაღელი თათრის ცხენმა მოიგო, მეორე თ. ბრ. დ. ორბელიანის ცხენმა.

მეორე დღეს, 30 ოქტომბერს, დღევც კარგი იყო, ხალხიც უფრო ბლომად და თვითონ დოლიც უკეთესი.

პირველად „საზოგადო დოლზე“ გამოიყვანეს სულ 16 ცხენამდინ, რომელშიაც ერია თ. ბრ. დ. ორბელიანის „მერცხალა“, სამი ცხენი შოისავეტოპოლის სახაზინო დეპოსი და დანარჩენი მომეტებული ნაწილი თათრებისა. პირველი პრიზი (ჯილდო) სახაზინო ცხენმა აიღო, სახელად „სამედმა“ 4 წლისამ; მეორედ მოვიდა აგრეთვე სახაზინო ცხენი „ლომი“ ხუთის წლისა. „მერცხალა“ კი ჯერ სულ წინ მოდიოდა, მაგრამ მეორედ შემოვლის დროს სხვებს ჩამორჩა და მეექვსედ მოვიდა. ბევრს ვისაც შარშანდელი ამის კენება ახსოვდა, ეს ძალიან გაუკვირდა. ნიხლაფი



რომ სკოლადაც ჩვენში ისე, როგორც სამხლარ გარეთ იციან, უქვევლია, ყველა „მერცხალასკენ“ დაიჭერდა, და ყველაც წააგებდა.

მეორე დღი იყო „ხალხთა-შორისი“, რომელშიაც ყველა წლოვანობისა და ჯინშის ცხენს შეეძლო მონაწილეობის მიღება. 15 ცხენი გამოვიდა. მთხი ვერსი სივრცე იყო. შევლავ პირველად მოვიდა და ჯილდოც (500 მან.) აიღო პოლკოვნიკის მნიკალოფოვის არაბის ჯინშის შავმა, მშვენიერ ცხენმა „ბიშერამ“, რომელზედაც ახალგაზდა რსი იჯდა. მეორედ მოვიდა თათრის ცხენი „ლიობოზ“ ალექსანდრაპოლის დეილდოვის ზავადისა და მესამედ აგრეთვე თფილისელი თათრის ცხენი „ბალაბოზ“.

მესამე დღე „სახალხოზე“ ყველას ერთმა ახალგაზდა თათარმა აჯობა, რომელიც ერთ რაღაც პატარა, შესახებდავთ უხერო ცხენზე იჯდა—„დავრიშზე“. ამან აიღო 75 მან. ჯილდო.

მეოთხეთ „მსურველები“ გამოვიდნენ, რომელთ რიცხვში რამდენიმე აფიცერიც ვრია, სხვათა შორის ღენ. ლაზარევის შვილი, იდეგაროვისა და სხვ. პირველად მოვიდა ერთი რუსის აფიცერი, რომელიც ჩინებულს მოყვითალო ცხენზე იჯდა; მესამე ჯილდო კიდევ იმ პატარა ზემოხსენებულ თათარს ერგო.

საზოგადოთ ამ დღემა დაგვარწმუნა, რომ ყველაზე უკეთესი ცხენები ამ ქაშად ჩვენში თათრებმა ჰყოლია და ყველაზე უფრო დახელოვნებული და მარჯვე ცხენოსნებიც ისინი ყოფილან.

დღიური

\* \* ჩვენ ნამდვილად შევიტყუეთ, რომ ამ დღეებში მოსულა უფშინდესის სინოდლად ქალაქი მუილისის სასულიერო სემინარიის რექტორის არხიმანდრიტ მ. აბრაამისა და ამავე სემინარიის ინსპექტორის უფ. ტუეშინსკის თავიანთ თანამდებობიდან დათხოვნის თაობაზედ.

ახალ რექტორად, როგორც ამბობენ, ინიშნება არხიმანდრიტი მ. მიხეილი და ინსპექტორი კი, როგორც მოგვხსენებთ, თვითონ სამღვდლოებში ყრილობამ უნდა ამოირჩიოს. ძლივს, ძლივს..

\* \* ამ კვირას იქნება კურობევა ექსპონსის ახალი კარის ეკლესიისა. ამბობენ, რომ ამის შემდეგ მისი მაღალყოვლად-უსამღვდელოესობა იოანნიკი მუღამ ამ ეკლესიაში სწირავსო და სიონის სობორში კი მუღამ ქართულად და ქართულის მგალობლებით უნდა სწიროსო მისმა ყოვლად-უსამღვდელოესობამ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ.

\* \* ჩვენ გვითხრეს, რომ ამ მოკლე ხანში ქალაქში აპირებენ ჩვენი ძველი მწერლების ზოგიერთ თხზულებებიდან შემდგარ წიგნის გამოცემას. ეს წიგნი ქაშნიკად იქნება გამოცემული; თუ კარგათ გასაღდა, შემდეგ წელიწადში ოთხს ამისთანა წიგნს გამოსცემენ, რომელთაც საზოგადო სახელი ერქმევა „ძველი მწერლობა“.

„შენ ახლა თავისუფალი ხარო, პატროსანი ხელობა გაქვსო და განა მავას იმაზედ გასცვილია?“. მითხრა. მერე ეს მართალია!.. ბავშვების სწავლა, რასაკვირველია, კარგი და პატროსანი საქმეა; მაგრამ ჩვენს შკოლებში კი არა. აქ განა თავისუფლება არის? მთუ მონური დამორჩილება სადმე არის რუტინულად ერთჯერე შემდგარის წესებისა? სწორედ აქ არის. მე რომ ბავშვებს, რომლებსაც ხეირიანად თავის დედა-ენაზედ სიტყვის გამოთქმა არ შეუძლიათ, რუსულად, ან და უკეთ ვსთქვათ სლავიანურად ლოცვებს ვასწავლი, მთელი არსება მერვეა, მათს უბარლო ტანჯვა-გაჯახირებას რომ ვხედავ. რა ცოდვის-კითხვა არის მანც, ბავშვს რომ პირველად შკოლაში ფეხის შედგმისათანავე აძლევენ ხელში ლოცვებს და მათი უაზრო და ზებირებით ძალას ატანენ და ღმერთსაც და მის ლოცვებსაც აძლულებენ! მთუ ჯოჯობებით მართლმ არის, სწორედ პირველი ადგილი იქ მასწავლებლებს უნდა ეჭიროსთ ასე ახალი, ნორჩი ყმაწვილების უღვთოდ წვალებისათვის. ლოცვების გაგება ყმაწვილს უცხო ენაზედ კი არა, თავის დედა-ენაზედაც არ შეუძლია თითქმის. ბავშმა რუსულად პურს რა ჰქვია, არ იცის და შენ კი ლოცვებს აძლევ: აჰა, დაისწავლიო!

ამ პირველ წიგნში დაბეჭდულა შემდეგი: მრთი ადგილიც მრთი მრთი კოზის ბრამატიკიდა, — მრთი ადგილი ანტონ ძათალიკოზის ნათარკმნის ბაუმეისტრის ფილოსოფიიდა, — მნითარის ისტორიის ერთი ნაწილი, — ზოგიერთი ადგილები: არისტოტელის „მატიკლორიდა“, — საქართველოს ისტორიიდა, — ტურცის ისტორიიდა, — საბა-სულხან მრბელიანის „ლექსიკონიდა“ ათას ასომდინ, — პოქმა „ბარამიანიდა“, — ამბროს ნეკრესის ეპისკოპოსის ქადაგებიდა, — ბაიოს არხიევისკოპოსის ნათარგმნი მარკ აგრილიოსიდა, — არისტოტელის სწავლიდა; ამას გარდა ზოგიერთი ძველი ლექსები ბეს. ბაბაშვილისა, ლარაძისა და სხვ., აგრეთვე ჰომერის „ილიადადა“ ერთი ადგილი ლექსად ნათარგმნი მეფე თეიმურაზისაგან და სხვ.

რალა თქმა უნდა, რომ ეს გამოცემა, თუ კი წიგნები კარგათ, თავიანთ შედგენილი იქმნა, ძალიან სასარგებლო იქმნება, ძალიან დაგვეხმარება ჩვენი ძველი მწერლობის გასაცნობად და ამისთვის გამოცემელს მაღალაბა ეძღვნის.

„დროების“ კორმსკონდენცია

ზამო-იმაკითიღბან, 21 მკჷამბერს. მქვენი გახეთით ვგებ ვინმემ მიაქციოს ყურადღება, ვისიც რიგია მფარველობისა, თორემ სწორედ მოგახსენებთ შორაპნის უფხდაში ცხოვრება გაჭირდა: ვისაც ცხენი და სხვა რამ საქონელი ყავ

არის ერთი წიწქა-გლეჯა, ტანჯვა, წვალება ყმაწვილებსა და მასწავლებელს შორის, თავის-ხეთქა, ერთი ვაი-ვაგლოხი, და რისთვის—ნეტავე ერთი იკოდეთ? მისთვის რომ ბავშმა უაზროდ დაისწავლოს, ან და ლოცვა კი არა, რამოდენიმე გაუგებარი სიტყვები. რა უფუნურება არის!

ამას იქით კიდევ ამბობენ, სჩივიან, ყმაწვილ კაცებს ღმერთი აღარ სწამთო, წირვა-ლოცვაზედ არ დაიარებიანო. რატომ? იკითხვავს კაცი. მითომ რომ ღრო წახლო, ღმერთი გაგვირისხდაო, მოვიგებენ. არა, ჩემო ბატონებო, მითომ რომ სიყმაწვილემივე ჩვენი უმგვანო და უაზრო ვითომ-პედაგოგის წყალობით ვაძლუებთ ყმაწვილს ღმერთსაც და მის ლოცვებსაც. შედღურება ის არის, რომ ამით ბავშს საზოგადოთ სწავლას ვაძლუებთ, წიგნი თვალით არ დაენახვება, მასწავლებელს ისე უყურებს, როგორც თავის უწყალო მწამებელს და მტანჯველს, რადგან საბრალოს ერთი საათი უნდა აყვირო, რომ „пренепорочную ან воблаговремени“ გამოათქმეინო. ეს განა სისტემატიკური ყმაწვილის ნორჩი ტენის დამახინჯება არ არის?! ძაცს რომ ურიგო სიტყვა უთხრა, მისთვის კი დაგსჯიან და ყმაწვილებს რომ სულიერად და ფიზიკურად ამახინჯებენ,

ფელტონი

მასწავლებლის დღიურიდან 187... 10 მაისი.

ბუშინწინ X-ს ეუთხარი X-ის კანცელარიისაში ადგილი გამოჩენილა თავისუფალი და ვითხოვ იქნება მომცენ მეთქი. პასუხად მითხრა: „მაგაზედ ნუ იფიქრებ, იმიტომ რომ ფიქრად არა ღირსო“.

მიცი, რატომ მითხრა ეს. მაგრამ ყოველგან ესევე ნაკლულევენება მოსდევს სამსახურს; თუ ყველგან არა, ბევრგან მაინც ისე უნდა იმოქმედო, შენ რომ წინააღმდეგად მიგაჩნია; უარის-თქმა პირში ღუქის გამოძრობას და შიმშილით სიკვდილს ემგვანება. ბული გერევა, რომ შერები, მთელი შენი არსება წინააღმდეგია, მაგრამ რას იქ? იტყვი რამეს, წინააღმდეგობაში ჩამოგართმევენ და ტყუილ-უბრალოთ თავს წააგებ; არ იტყვი და რაც არ გინდა, ის უნდა ჰქმნა.

მე, ძნელია მოქმედებაში თავისუფლება იმისთანა კაცისათვის, რომელმაც არ იცის—ხვალ მშიერი იქმნება, თუ მაძლარი!..





და, დაიპარეს და ვისაც ორი გროში უშოვნია ზედ აკვლენ.

პოლიცია ყურს არ იბერტყის; თუ მიხვდები და სთხოვე, გეტყვის: მიჩვენე ქურდი და ან მოწამეს მოგთხოვს! თუ დაგვეჩანა და მოწამეც ყოფილიყო, მაშინ არც გავატანტით ქურდს.. თუ ჩვენის მეცადინებით დავიჭირეთ ქურდი, მეორე დღეს გამოუშვებენ თავდებობით და ვაი მაშინ მის დამჭერს, რამდენი უბედურება ელის!

შორაპანში, მდ. შვირილის მახლობლად, ტყეების ტყეში და მის მახლობელ სოფელში ცხოვრობს ორი ტუსალი სიმბირითგან გამოპარულნი შოადიშვირ და შაქსიძე მაჭავარიანები და მესამეც აქაური სატუსალოდამ გაქცეული ალექსანდრე აბაშიძე და ამათ რამდენიმე სხვა თავის ამხანაგები ჰყავთ. ამათ აკვლეს მთლად სოფლები, აღარ გვიდგია სული მათი შიშით; დღე გზაში გვიხვდებიან და ღამე ოჯახში მოგვიხტებიან ხოლმე.

მრთი მოხუცებული პრისტავია, გააკიდებენ ვითომ, მაგრამ ის ამათ რომ ვერ დაიჭერს, ეს ღმერთმაც იცის და კაცმაც, და ამოაბაში ჩვენ გაგვათავეს. ამ ერთ კვირაში ერთი სოფლითგან ყოველ ღამე თათო-თითაობით მოიპარეს ხუთი ცხენი; ამათში ორი ძლიერ კარგი ცხენი, ერთი მღვდლის ს. პ.—ჭისა და მეორე აზნ. ან. შ.—ისა. ეს ავაზაკები სხვა დაახლოებული მობინადრე მეზობლებს გარდა ხშირად ინახვენ თავს თ. ლ. წ.—თან და აზ. თ. მ.—თან. ამას წინათ ლ. წ.—ის გამოგზანილი ერთი აზნაური ბ. დ.—ნი მღვდელს პ.—სთან მივიდა და საიდუმ-

ის კი არაფერიო.  
... როგორც იქნეს, ასწავლეთო, რომ გამოცდის (ევაგენის) დროს წიკითხონ მაინცო, მიბრძანა უფროსმა ქ., როცა უთხარი, შეუძლებელია ბავშვებს კაცმა რუსულად ასწავლოს-მეთქი, როდესაც ეს ენა სრულებით არ გავგებთ და სჯობია სულ თავი დავანებოთ ჯერ-ჯერობითა-მეთქი. თავის დანებება როგორ შეიძლებაო, —ისე შემინა, თითქო ქვეყნის დაქვევას ვაპირებდი, და რუსულად სწავლება მაგრე ძნელიც არ არისო, მითხრა ბრძანების კილოთი. მე წინააღმდეგობა დავაპირე, მაგრამ ღრანჭი შემიკრა ჩემი ამხანაგის შენიშვნამ: სულ ადვილად შეიძლებაო, დაეთანხმა ის უფროსს. ახლა ლაპარაკი აღარც კი მიხდოდა, მიხდოდა მხოლოდ ეს სულ-მდაბალი კაცი გამეჩნა; მაგრამ რას იზამ, ვინ მისცა კაცს თავი ზევით ღონე! მე ის უფრო მაბრძნებდა, რომ ეს ჩემი ამხანაგი სულ ამის წინააღმდეგს ჰქადაგებს, როცა ცალკე დარჩება ხოლმე ჩემთან და რომ ვეტყვი—უფროსთანაც რატომ აგრე არ იტყვი-მეთქი, მეუბნება: „თავი ხომ არ მომძულეობია!“ მოდი და ელაპარაკე ამისთანა კაცს!..  
სამღეთო ისტორიასაც რუსულად გავდივართ, რასაკვირველია. ბავშმა ოცი სიტყვა თუ იცის რუსული და უნდა

ლოთ უთხრა, ოცი მანეთი მე მომეცო და 50 მანეთი კნიაზთან გამატანე და ერთ რომელიმე ღამეს შენი ცხენი მოგება და გაიშობა შენს ეზოშიო..

მრთის სიტყვით, თუ ასე წავიდა საქმე და ახალმა „ხევის-თავებმა“ არ გვიშველეს, მეტი ღონე არ არის; ცხენის მაგიერ უნდა ვიყოლიოთ ვირები საჯდომათ და საცხოვრებლად ავაშენოთ კოშკები, თორემ ჩვენ პოლიცია ვერ დაგვიფარავს. ამ დროში ტუსალები ჩვენ შევიქენით და ნამდვილი ტუსალები კი სანატრელ ცხოვრებაში არიან...

ანდრია შლენტი.

# თეატრი

## მართული წარმოდგენა

31 დეკემბრისთვის.

„ტივიტ მოგზაურობა ლიტერატორთა“ წუხელ სუსტათ იყო წარმოდგენილი. ჩვენ გვახსოვს ამ პიესაში ერთ დროს თ. შ. აბაშიძე და მლ. შიფიანისა დებულობდნენ მონაწილეობას; მაშინ უკეთ უფრო ცოცხლად მიდიოდა ეს უფ. ზ. ანტონოვის კომედია, რომელსაც უფრო მომეტებულის სიმართლით ფარსი ანუ მასხარობა უნდა ერქვას, ვინემ კომედია, რადგან უმნიშვნელო მასხარობისა და უაზრო მდგომარეობის მეტი ამ პიესაში არა არის-რა.

ფაქტების ხსნა დაუწყო რუსულად! მაგრამ რა ახსნა არის ეს, რა მოთხრობა. არც ზღაპრის ინტერესი აქვს და არც ნამდვილი ამბავის: ორივეში გამოხსლელია. „სწავლებლა—წამებაო“, ძველად რომ უთქვამსთ, სწორედ ახლა არის. ეს დალოცვილი პედაგოგები რომ გაიძახიან — „религиозное воспитание“, ნეტავი ვიცოდეს მაინც, რას ეძახიან ამ აღზრდას! უცხო ენაზედ ლოცვების და მოთხრობის დაზვიერებას ხომ არა?! ბანა შეგიძლია აღუძრა ყმაწვილს რელიგიური გრძნობა ღვთისა და კაცის სიყვარული ცემა-ტყეპით! ბანა შესაძლებელია, შეუყვარდეს კაცს ჯალათი და საწამებელი იარაღი!.. ჯალათი ვახლავს მასწავლებელი და იარაღი საკანი, რომელიც უნდა იყოს, თუ კი იმას ასწავლიან უცხო, გაუგებარს ენაზედ...

სამღეთო სჯულის მასწავლებელმა ყმაწვილს რელიგიური გრძნობა უნდა აღუძრასო, ღმერთი და კაცი უნდა შეაყვაროსო; მაგრამ რითი, რა საშუალებით, — ამას, რასაკვირველია, აღარ დასდევენ. სამღეთო სჯულის მასწავლებელი თუ რამეს ასწავლის ბავშს, ისევე რუსულს სიტყვებს და განა იმის თქმით, რომ Богъ—ღმერთია და Богородица — ღვთის-მშობელი, შეუძლია მას ყმაწვილი გრძნობაში შეიყვანოს! და ან—იო-

უფ. პ. შიფიანი (სტატუსკრიფტისტიკი და ფილოსოფოსი პარმენი ილიჩი), როგორც ეტყობოდა ერთობ ცდილობდა, რომ ამ მომქმედი პირის დედანი (პლატონ იოსელიანი) გამოეხატა, მაგრამ მართო პრეტელი ლაპარაკის მეტი ვერა მოეხერხებია-რა.

უფ. პ. მესხი (ბრ. ლრებაკოვი) უფრო იუნკერს გავდა, ვინემ პოლიციენიკს; იმის არშოყობაც იუნკრულ არშოყობას ჩამოგავდა. საზოგადოთ ამ როლში ის სხანდა, კარგათ ვერ გრძნობდა თავის თავს.

ისევე როგორც იყო ცოტათი შაბუნისა ქალმა (თინათინ, გლენის ქერავი) გააცოცხლა მეორე მოქმედებაში პიესა, თორემ ერთობ უსიცოცხლოდ მიდიოდა წარმოდგენა. საცა გაცხარება, კაპასობა, სიანხლეთა წარმოსადგენი, იქ შაბუნისა ქალი შეუდარებელია.

უფ. მაჩაბელი, ცაგარელი და მომაშვილი გლენის როლს ყოველთვის კარგათ თამაშობენ და ახლაც ურიგოთ არ უთამაშნაით.

იოსელიანის ქალს (თავადის ლამაზი ქვრივი) ამ როლის თამაშის დროს შეეტყო, რომ იმას, თუ ეცდება, შეუძლიან ზოგიერთი მეორე ხარისხის მარტივი როლები შეასრულოს.

ამ პიესის შემდეგ ანტრაქტში უფ. პ. შიფიანმა წარმოდგინა პუშკინის სცენა „ძუნწი გმირი.“ სცენა კარგათ იყო მოართული, თვითონაც რიგიანად ჩაცმული; მაგრამ უბედურება ეს არის, რომ სრულებით როლი არ იცოდა; ერთს წინადადებას რომ იტყოდა, უნდა მოეცადნა, მანამ სუფლიორი ჩაუხურჩულებდა, რომ

სები რომ იკაობის შეილი იყო, ის რომ ძმებმა შეიძულეს და ვაჭრებს მიყიდეს, ამათ რომ მკვიპტეში მიიყვანეს და მეფის დარბაისელს მიყიდეს, ბატონმა რომ ის საპყრობილეში შეაგდო და სხვა ამგვარის ჩამოთვლა, — ეს ნიშნავს სამღეთო ისტორიის სწავლებას?!

და ნეტავი იცოდეთ, რა შრომას სწევს ყმაწვილი, რა ჰაპან-წყვეტაშია საბრალო, რომ ეს დამანინჯებელი და ამიტომ ყოველად უმნიშვნელო ამბავი დაიზვიეროს! მე თვითონ მიხანავს, ყმაწვილი რომ ზვიერობდა თავის დაფიდვან ამას: „უწოია ბილ დვა სინა სიმ ხამ იაფეტ ნოი ნასადილ ვინოგრად კალდა ვინოგრატ ონისოკა პიტოლ აღინ რას მწოგო ვიპილ აპიანელ ილეყალ შატრე ობნოქონი პრიშოლ ეტოვრემია იუვიდელ ნაგატუ ისტალ სმეიატია“. ეს არის, ბატონო პედაგოგებო, „религиозное воспитание!“

ამის შემდეგ კიდევ მეუბნებია ნ — შენი ხელობა პატიოსანი ხელობა არისო, მაგის დატოვება როგორ შეიძლებაო!  
„ღიან, ჯალათობა კარგი, პატიოსანი ხელობა არის, თქმა არ უნდა...“





იმის სიტყვა გაემეორებინა; მერე კიდევ გაჩერდებოდა, კიდევ სუჭლიორს უცდიდა, და ამნაირად კარგათაც რომ წარმოედგინა მაყურებელს მაინც გული, უწყვილოდებოდა. ზოგან სტოვებდა ლექსაც, ზოგან ლექსიც არ გამოდიოდა; მომატებული ნაწილი კი არც კი ისმოდა იმის ლაპარაკი.

დრო არის, მოთამაშებმა მიაქციონ ყურადღება როდების სინდისიანად სწავლას და მხოლოდ ისე განსვლას სცენაზე; რით ვერ გაიგეს, რომ, თუ როლი არ იცის, ნიჭიერი მოთამაშეც კი ვერასე გაარიგებს სცენაზე და როლის კარგათ მცოდნე აქტიორი ცოტა ნიჭიც რომ ჰქონდეს, მაყურებელს არ შეაწუხებდნენ მაინც, თუ კარგათ ვერ ითამაშა. მის ნაკლებეანება ყველაზე უფრო უფ. ძ. შიფთანს შევატყუთ. თუ აქტიორები არ აქცევენ როლის შესწავლას ყურადღებას; ამ შემთხვევაში უფ. რეჟისორი არის მოვალე, რომ ძალად მიაქცივინოს იმათ ეს ყურადღება.

„ტივით მოგზაურობისაგან“ დატოვებული ცოტათი მძიმე შთაბეჭდილება „ცელქების“ წარმოდგენამ განფანტა. მოდელი ამისთანა უნდა: სულ მუდამ მოძრაობა სცენაზე, ოხენჯობა, სიცილი, სასაცილო მდგომარეობა მომქმედვი პირებისა და აზრის გაგებისათვის თავის არ-მტყრევა. ამ ხინებულ ვოდვეილს აღმსრულებლებიც თავის შესაფერი ჰყავდა. შთაგრეს როლებს თამაშობდნენ: მ. აბაშიძე (ბებერი არშიცი, ალიომა ბოლუბკოვი), მ. აბაშიძე-საფაროვისა (ახალგაზდა ცელქი ქალი, ნადრეკა) და ძ. მესხი (ალიომას მეგობარი, ზორლიცინი). ამისთანა ცოცხლად და მხიარულად არცერთი პიესა არ გვინახავს ჯერ ჩვენს სცენაზე ნათამაშევი. მთელი წარმოდგენის დროს მაყურებლებს მუტელოზე ეჭირათ ხელი, სკდობდნენ სიცილით და თითქმის ტაშისკერა არ შეწყნარებულა.

მ., რასაკვირველია, თვითონ პიესის თვისებასაც უნდა მიეწიროს; მაგრამ კარგი წარმოდგენი პიესა შეიძლება სრულად გაფუჭდეს სცენაზე, თუ კარგი წარმომადგენლები არა ჰყავს; ამ შემთხვევაში ორივე ერთად იყო: კარგი პიესა და კარგი ამსრულებლებიც, რომელნიც თითქო ერთმანეთს ეჯობებოდნენ— ამა რომელმა უფრო ნამდვილად დაცოცხლად შეეასრულოთ ჩვენი როლებიო. ძარგი საყურებელია ნიჭების ამგვარი შეჯიბრება...

პიესაში რამდენიმე სამღერალი კუბლეტებია; ამ კუბლეტების სიმღერამ უფ. მ. აბაშიძისაგან და მ. აბაშიძე-საფაროვისაგან აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება და თითო იმათგანი სამჯეროთხჯერ გაამეორებინეს. შესანიშნავია, რომ ამ ვოდვეილურ კუბლეტების (შანსონეტების) სიმღერა იანე ხინებულად გამოვიდა ქართულად, რომ თითქო ერთი საუკუნეა, რაც ოპერები და ოპერეტები იყოს ჩვენში შემოღებული...

### ბანსხალბანი

ქნიაზ იოანე კოსტანტინეს ძე ბაგრა-

თფილისის თავად-ანაუხთა საადგილ-მამულო ბანკის

## ზედახედველი კომიტეტისაგან

ზედახედველი კომიტეტი თფილისის გუბერნიის თავად-ანაუხთა საადგილ-მამულო ბანკისა, ამა ბანკის წესდების მე-83 § ძალით, მოიწვევს ბანკის წევრთ-დამფუძნებლებს უჩვეულებრივო საზოგადო კრებისათვის, რომელიც იქნება ამა წლის 25 ნოემბერს ბანკის სადგომში:

### ბანსახილველი საგნები:

ბანკის წესდებაში შეტანა ურთი-ერთ პასუხის-გებისა იმ მამულებისა, რომელნიც შემდეგში გირაოდ შემოიტანებიან ბანკში, და ამის-და-გვარად შეცვლა ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლებისა. (8-1)

რ. ბ. შ. ა.	ლილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ტელერაჟი	მან კაპ.	მაზანდა	მან კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი	921	518	8	კაპ. მ. კაპ.	მ. ცი სიტყვა თფილისიდან.		თფილისი 27 ოქტომბ.		მრეწ. მ. იდ., წინამძღვაროვ. სახლი.
მცხეთა	1011	627	85	44	ძავასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	50	შქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	255	აგათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდან 10-დინ.
ზორი	1158	943	3	153	როსტოვს, მდესას, მოსკოვს, პეტერბურღს, ვარშავს	2	შქვ. წითელი	220	მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს.: ლისიცივი და ბარალევიჩი—შინაგ. აგათმყოფობის.
ხაშური	129	1157	473	242	მსხალეთში, შვეიცარიაში	2	შქვ. ფუთი	140	ს. ა. მ. შ. ა. ბ. ა. თ. ს.: მერმიშვიე შინაგ. აგათმყოფ.; რეინი—თვლის, შურავ-
სურამი	144		490	261	იტალიაში და საფრანგეთში	2	ბაგბა მრეწვისა, ფუთი.	865	ლევი—ვენეროულის, და კანისა; ბა-
შვირილი	549		721	369	ინგლისში	3	—ამერიკისა, ფუთს	930	აგათმყოფ.; რეინი—თვლის, შურავ-
რონი	657		844	431		3	ბაგბანტილი ბაგბა ფუთი.	1170	ლევი—ვენეროულის, და კანისა; ბა-
სამტრედია	751		966	493		3	მატყელი თუშური ფუთი.	820	ბოვი—გულისა და შინ გ.
ახალ-სენაკი	843		1071	547		3	—თარაქამისა ფუთი	370	მ. თ. ხ. შ. ა. თ. ს.: ლისიცივი—ში-
ფოთი	950		1224	626		3	აბრეშუმი ნუხური სტ.	210	ნაგ, ასტუა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების აგათმყ.
ფოთი	9	3			ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. მ. ზურ.—პარასკ. და ორშ. ძა-ხუთშ. მ. ზურ.—პარასკ. ბ) მუთაი-სიდან: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. მ. ზურ-გეთს—ორშ. და პარასკ.		ქონი ფუთი	580	ს. უ. თ. შ. ა. ბ. ა. თ. ს.: მერმიშვიე—ში-
ახალ-სენაკი	1014		153	78			ქონის სანთელი ფუთი.	760	ნაგ. აგათმყ. და შურავლევი—კანის და ვენეროულის.
სამტრედია	115		261	133			სტეარინის სანთელი ფ.	1165	პ. ა. რ. ა. რ. ა. კ. ვ. ს. იქნებიან: ლისი-
რონი	1213		384	197			სორცი ძროხისა. დიიტრა		ცივი, შინაგ.; ასტუა-ცატუ-ოვი—ვე-
შვირილი	118	ლაშე.	53	256			—ცხვრისა, ლიტრა		ნერ. და კანის; ბაბავეი—გულისა და
სურამი	512		110	734			სპირტი ვდრო	450	შინაგ. აგათმყოფ.
ხაშური	539		137	751			შაქარი ბროც. ფუთ	725	შ. ა. ბ. ა. თ. ს.: მერმიშვიე, შინაგ.; შურ-
ზორი	75		489	244			—ფხვნილი ფუთი	570	აგათმყოფ.
მცხეთა	850		659	39			შავა რგვალი გრვ.	65	აგათმყოფ.—ვენერ. და კანის რეინი—
თფილისი	931		756	24			ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	14	თვლის.
							თამბაქო საშუალო ფთ.	670	